სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება №03-1023

ქ. თბილისი

10.09.2014

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2014 წლის 2 სექტემბრის №03-932 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის" წესდების მე-18 მუხლის მეექვსე პუნქტის საფუძველზე, სატელევიზიო სასწავლო ცენტრის დირექტორის, ზურაბ ოშხნელის 2014 წლის 8 სექტემბრის №03-23949/14 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სატელევიზიო სასწავლო ცენტრის მეოთხე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის გაგრძელების მსურველთათვის პროფესიულ ტესტირებაზე რეგისტრაციის ვადების გამოცხადებისა და პასუხისმგებელ პირთა განსაზღვრის შესახებ" ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2014 წლის 2 სექტემბრის №03-932 ბრძანების პირველ პუნქტით დამტკიცებულ დანართში, ადგილების რაოდენობის ნაწილში და ჩამოყალიბდეს ამ ბრძანების დანართის შესაბამისად;

2. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს ამ ბრძანების საჯაროდ გამოქვეყნება;
3. უნივერსიტეტის სამდივნოსა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაევალოს ამ ბრძანების უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსება;
4. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს, მიაწოდოს ამ ბრძანების ასლები უნივერსიტეტის ფაკულტეტებს/სკოლებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, იურიდიულ სამსახურს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, სამდივნოს და არგუსის ადმინისტრატორს ცენტრალურ დონეზე- ირინა ბაზღაძეს.

რექტორი **გიგა ზედანია**

დანართი 1

პროფესიული პროგრამა	კრედიტების რაოდენობა	წლიური გადასახადი	ადგილების რაოდენობა
ფოტოგრაფია	60	2250	50
საოპერატორო ხელოვნება	120	2250	15
ჟურნალისტიკა	120	2250	15
კინოტელერეჟისურა	60	2250	25
მონტაჟის რეჟისურა	60	2250	25